საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/09

ქ. ბათუმი 06 თებერვალი, 2019 წ.

„ბსუ-ს ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №49 დადგენილებასა და „ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 ნოემბრის №134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსის თამარ მაჭუტაძის სამსახურებრივი ბარათის (MES 47417 21.01.2019) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შეტანილი იქნეს ცვლილებები „ბსუ-ს ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №49 დადგენილებასა და „ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 ნოემბრის №134 დადგენილებაში, კერძოდ, ხსენებული დადგენილებებით დამტკიცებული დებულებებიდან ამოღებული იქნეს მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.
2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე და მომზადდეს კოდიფიცირებული ვერსია.
3. დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს და ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).
4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**